



მთავარი ბიზნესი ეკონომიკა ბანკები / ფინანსები მსოფლიო ეკონომიკა უძრავი ქონება ტრანსპორტი / კომუნიკაციები პოლიტიკა საზოგადოება

აქილი

სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი



Max: +9°C
Min: +5°C



Max: +9°C
Min: +5°C



Max: +8°C
Min: +6°C

ტექსტის ზომა: - +

ოთხშაბათი, 9 მარტი 2011

"სომხური კომპანიის საქმიანობა საქართველოს ეკოლოგიური კატასტროფით ემუქრება"



არასამთავრობოები საკითხში ხელისუფლების ჩარევას ითხოვენ

commersant.ge

სომხური კომპანიის საქმიანობა საქართველოს ეკოლოგიური კატასტროფით ემუქრება. ამის შესახებ commersant.ge-სთან საუბარში „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლები აცხადებენ.

ორგანიზაციის თავმჯდომარის მანანა ქოჩლადის განცხადებით, სომხეთ-საქართველოს საზღვართან 10-15 კილომეტრში, თეგუტის ხეობაში (სომხეთი) სომხური კომპანია Armenian Copper Program-ი სპილენძისა და მოლიბდენის მოპოვების და პირველადი გადამუშავების სამუშაოებს ახორციელებს.

საწარმოო ტოქსიკური ნარჩენების, ნახევრადთხევადი მასის განთავსება კი სპეციალურად აშენებულ დამბაში ხდება.

ქოჩლადის განცხადებით, საწარმოს ინდუსტრიული ნარჩენები, რაოდენობის მიხედვით, სომხეთში ყველაზე დიდია და 180-200 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.

მისი თქმით, მართალია, დამბა ახლომდებარე მდინარეებს ამ ნარჩენებისაგან იცავს, თუმცა დამბის დაზიანების ან ჭარბი ნალექის შედეგად მისი დატბორვის შემთხვევაში სერიოზული რისკი არსებობს: უარეს შემთხვევაში მიმდებარე ნიადაგი ტოქსიკური ნარჩენებით მოიწამლება და ათეულობით წლების განმავლობაში გამოუსადეგარი იქნება, უკეთეს შემთხვევაში კი ეს ნარჩენები მდინარე დებედაში მოხვდება, რომელიც სომხეთიდან საქართველოში მოედინება და მდინარე ხრამს უერთდება.

მანანა ქოჩლადის განცხადებით, ჯერ კიდევ 2009 წელს, სანამ სომხური კომპანია სპილენძისა და მოლიბდენის მოპოვებულ საწარმოს ააშენებდა, „მწვანე ალტერნატივამ“ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართა, რათა მას Armenian Copper Program-ისგან იმ რისკების შესწავლა და მართვის გეგმა მოეთხოვა, რაც საქართველოს ამ საწარმოს მუშაობისას დაემუქრებოდა. მაშინ გარემოს დაცვის სამინისტრომ დუმილი არჩია იმ მოტივით, რომ საქართველო „ეკოს“ კონვენციას – „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ მიერთებული არ იყო. მართალია, საქართველო ამ კონვენციას დღემდე ვერ მიუერთდა, თუმცა „მწვანე ალტერნატივა“ მიიჩნევს, რომ ტრაგედიის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ Armenian Copper Program -საგან რისკების შესწავლა და მართვის გეგმა კატეგორიულად უნდა მოითხოვოს.



ვალუტის კურსი

1 USD	1.7000
1 EUR	2.4048
1 RUB	0.0599

მსოფლიო ინდექსები

19-03-2013			
▲ DJIA	01/04	12412.6	0.75%
▲ NASD	01/04	2798.41	0.62%
▲ MMVB	01/04	1843.92	1.67%
▼ RTS	01/04	2075.88	1.55%
▲ OIL	01/04	117.46	0.09%
▲ GOLD	01/04	1426.50	+0.19%

კვირის ფორტი



ID: 23559

განახლებული www.sapovnela.ge

6000.00 GEL



იყიდება ხის დასამუშავებელი დანადგარების ნაკრები